



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2018  
ივლისი




03.08.2018

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ინფლაცია საქართველოში, 2018 წლის ივლისი

2018 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0,3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,8 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.



ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები შემცირდა 1,1 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,32 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (-12,6 პროცენტი), ბოსტნეული და ბალჩეული (-10,7 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (2,7 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში ფასები შემცირდა 1,4 პროცენტით, რაც -0,05 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. აღნიშნულ პერიოდში ფასები შემცირდა როგორც ფეხსაცმლის (-2,4 პროცენტი), ასევე ტანსაცმლის (-1,0 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.08.2018

ტრანსპორტი: ფასები გაზრდილია 1,2 პროცენტით. შესაბამისად ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციაში 0,15 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (1,7 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (1,3 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-1,6 პროცენტი);


ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2018 წლის ივლისის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

**პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით**



ინფლაციის დონე, სულ **2.8**

**ჯგუფების წვლილი\* 2018 წლის ივლისის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 2.8%)**



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6,9 პროცენტიანი მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,93 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (12,3 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-11,0 პროცენტი);

\* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.08.2018

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 2,3 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,67 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (4,6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4,2 პროცენტი), თევზი (3,7 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (3,1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (2,6 პროცენტი). ამასთან ფასები შემცირდა შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (-2,9 პროცენტი);


საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი: ფასები გაიზარდა 5,2 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,43 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი), ასევე ელექტროენერჯიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (6,0 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 5,0 პროცენტით, რაც 0,42 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (9,0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3,4 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,4 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4,4 პროცენტით, რაც 0,31 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (8,2 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: მოცემულ პერიოდში ფასების კლება დაფიქსირდა 8,3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0,32 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა როგორც ტანსაცმელზე (-8,5 პროცენტი), ისე ფეხსაცმელზე (-7,9 პროცენტი).


### ყოველთვიური ინფლაცია




## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.08.2018

### წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



### საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული  
 ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)  
 ფაქსი: (+995 32) 236 72 13  
 ელ. ფოსტა: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)